

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის

სამაგისტრო და სადოქტორო

პროგრამების ფაკულტეტი

ნათია ბარბაქაძის

სამაგისტრო ნაშრომი

საქართველოს ეკონომიკური ინტეგრაცია ევროკავშირში;

შანსები თუ პერსპექტივები

ნაშრომი შესრულებულია საერთაშორისო ურთიერთობების

მაგისტრის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

ხელმძღვანელი პროფესორი – დავით აფრასიძე

თბილისი

2010

საქართველოს ეკონომიკური ინტეგრაცია ევროკავშირში;

შანსები თუ პერსპექტივები

(ანოტაცია)

1993 წლიდან ევროკავშირმა მიზნად დაისახა გაემრავალფეროვნებინა თავისი საგარეო ურთიერთობები მთელი რიგი რეგიონებისა და ქვეყნებისათვის დახმარებების გაწევით. ერთ-ერთი რეგიონი, რომელსაც ევროკავშირმა დიდი დახმარება გაუწია, სამხრეთ კავკასია იყო.

1994 წლიდან საქართველომ დაიწყო ევროკავშირთან პარტნიორობისა და თანამშრომლობის შეთანხმებაზე მუშაობა. ამ შეთანხმებამ, რომელიც ლუქსემბურგში 1996 წლის 22 აპრილს იქნა ხელმოწერილი, განსაზღვრა ის ძირითადი ჩარჩო, რომელშიც უნდა განვითარებულიყო საქართველოსა და ევროკავშირს შორის მომავალი ურთიერთობები.

2004 წლის 14 ივნისს ევროკავშირის (მინისტრთა) საბჭომ მიიღო გადაწყვეტილება აზერბაიჯანის, საქართველოს და სომხეთის ევროპის სამეზობლო პოლიტიკაში ჩართვის შესახებ. ამის შემდეგ საქართველოს ევროკავშირთან ურთიერთობები ახალ ფაზაში შევიდა და კიდევ უფრო ინტენსიური ხასიათი მიიღო. მოცემილ სამაგისტრო ნაშრომში შევეცადე გამეანალიზებინა საქართველოს ევროკავშირში ეკონომიკური ინტეგრაციის პრობლემები და პერსპექტივები.

ნაშრომის პირველ თავში განვიხილე ევროპული ინტეგრაციის პროცესი სამხრეთ კავკასიაში. მასში ნაჩვენებია ცენტრალურ კავკასიაში ეკონომიკური ინტეგრაციის მისაღწევად საქართველოს, აზერბაიჯანისა და სომხეთის მიერ აუცილებლად გასატარებელი ღონისძიებები, რომელთა რეალიზაციამ უნდა უზრუნველყოს უაღრესად

რთული ხელშემშლელი მიზეზების მინიმუმამდე დაყვანა, აღმოფხვრა და ხელშემწყობი ფაქტორების მაქსიმალურად ამოქმედება.

გლობალიზაციისა და ლოკალიზაციის ტენდენციები განვითარების ოპტიმალური სტრატეგიის შემუშავებისა და განხორციელების შესაძლებლობას განაპირობებს, რისთვისაც, თავის მხრივ, აუცილებელია: განვითარების წარსული გამოცდილების შეფასება, ადრე დაშვებული შეცდომების და ნაკლოვანებების აღმოფხვრა, ახალი სტრატეგიის მიზნების განსაზღვრა და კონკრეტული ღონისძიებების დასახვა და რეალიზაცია, რამაც ხელი უნდა შეუწყოს ცენტრალური კავკასიის ქვეყნების ეკონომიკური განვითარების ღონის ამაღლებას, მათ შორის ინტეგრაციული პროცესების დაჩქარებას, მსოფლიო გლობალიზაციურ პროცესებში ინტენსიურ ჩართვას, იქ კუთვნილი ადგილის მოპოვებასა და დამკვიდრებას.

ნაშრომის მეორე თავი დათმობილი აქვს საქართველოს ევროკავშირში ინტეგრაციის პრობლემებსა და პერსპექტივებს, კერძოდ, პირველ ქვეთავში გაანალიზებულია საქართველოს ეკონომიკური განვითარება თანამედროვე ეტაპზე.

უკანასკნელი რამდენიმე წლის მანძილზე საქართველოს მაკროეკონომიკურ მაჩვენებლებს ძლიერი დინამიკა ახასიათებს, რასაც თან ერთვის ეკონომიკის ძირეული რესტრუქტურირაცია. აღნიშნულ პერიოდში მშპ-ს ზრდის ტემპი საქართველოში მნიშვნელოვნად გაიზარდა და 2007 წელს, უკანასკნელი ათწლეულის მანძილზე, ყველაზე მაღალი მაჩვენებელი - 12,4% შეადგინა, რაც ნომინალურ გამოხატულებაში თითქმის 17 მილიარდ ლარს შეადგენს. 2000 წლიდან მშპ-ის ყველაზე მაღალი ზრდის ტემპები დაფიქსირდა 2003 წელს – 11,1% და 2007 წელს - 12,4%. 2008 წელს, ბუნებრივია, მსოფლიო ფინანსურმა კრიზისმა და აგვისტოში განვითარებულმა მოვლენებმა პირდაპირი ასახვა ჰპოვეს საქართველოს მთლიან შიდა პროდუქტზე და რადიკალურად შეანელეს მისი ზრდის ტემპი. შესაბამისად, 2008 წელს მშპ-ის ზრდის ტემპმა 2,1% შეადგინა, ხოლო 2009 წელს მსოფლიო ბანკის მონაცემების მიხედვით -3.9% -ია.

შემდეგ ქვეთავში საუბარია იმ ღონისძიებათა შესახებ, რომელთა გატარება, ჩემიზრით, დააჩქარებს საქართველოს ეკონომიკურ ინტეგრაციას ევროკავშირში. კერძოდ, საქართველომ, უპირველეს ყოვლისა, უნდა შეიმუშავოს ევროკავშირთან კონვერგენციის პროგრამა, რომლის განხორციელებითაც უზრუნველყოფს ეკონომიკური მაჩვენებლების დაახლოებას მასტრიხტის და კოპენჰაგენის კრიტერიუმებთან. უპირველეს ყოვლისა, აქცენტი უნდა გააკეთოს ისეთ მაკროეკონომიკურ პოლიტიკაზე და იმ ღონისძიებებსა და მიმართულებებზე, რაც ქვეყანას უფრო მიმზიდველს გახდის ინვესტირებისათვის. ქვეყანამ უნდა მოახდინოს ყველა შესაძლო რესურსის მობილიზება, რათა მიღწეული იქნას ეკონომიკური განვითარების დაჩქარება და კონკურენტუნარიანობის გაძლიერება, რაც თავის მხრივ ემსახურება უმთავრესი მიზნის მიღწევას - ევროკავშირთან საქართველოს ეკონომიკურ კონვერგენციას.

ქვეყანამ უნდა გაატაროს ეფექტური ღონისძიებები, რათა დროულად მოხდეს შესწორებანი და აუცილებლობის შემთხვევაში უნდა გაატაროს რიგი ძირეული სტრუქტურული რეფორმები. მნიშვნელოვანია ეკონომიკური და ფისკალური მდგრადობის უზრუნველყოფა. ქვეყანამ უნდა უზრუნველყოს სახელმწიფო ვალის შემცირება და გააძლიეროს სახელმწიფო ფინანსები და საპენსიო, სოციალური უზრუნველყოფისა და ჯანმრთელობის დაცვის სისტემები ისე, რომ უზრუნველყოს მათი ფინანსურად სიცოცხლისუნარიანობა, სოციალურად ადეკვატურობა და მიღწევადობა.

ქვეყნის მდგრადი განვითარების ხელშეწყობისთვის უნდა განისაზღვროს მდგრადი განვითარების ეროვნული სტრატეგიის შემუშავებისა და განხორციელებისათვის აუცილებელი ზომები და მოხდეს მდგრადი განვითარების სტრატეგიული დაგეგმვისა და შესაბამის სუბიექტებს შორის კოორდინირების უზრუნველყოფა.

ევროკავშირთან საქართველოს ეკონომიკური ინტეგრაციის ოპტიმიზაციის ერთ-ერთ ძირითად მიმართულებას წარმოადგენს, ასევე, ეფექტური სავაჭრო პოლიტიკის გატარება და აღნიშნულ სფეროში რეალური ეფექტური ღონისძიებების დასახვა, რაც მნიშვნელოვნად დააჩქარებს საქართველოს ინტეგრაციას ევროსივრცეში, გამომდინარე

იქედან, რომ სწორედ საგარეო სავაჭრო ნაკადები წარმოადგენს მსოფლიო ეკონომიკური ინტეგრაციის ტემპებისა და ხარისხის გადამწყვეტ ინდიკატორს.

ასევე ყურადღება გამახვილებულია რეგიონული კონკურენტუნარიანობის ამაღლების ღონისძიებებზე. ქვეყნის რეგიონული განვითარების პოლიტიკა უნდა შეადგენდეს ქვეყნის საერთო განვითარების პოლიტიკის განუყოფელ ნაწილს და ორიენტირებული უნდა იყოს კონკურენტუნარიანობის ზრდაზე. მაგალითის სახით მოყვანილია აჭარაში მიმდინარე აღმშენებლობითი პროცესი.

შინაარსი

შესავალი	7
ლიტერატურის მიმოხილვა	9
I. ევროპული ინტეგრაციის პროცესი სამხრეთ კავკასიაში	11
I.1 ეკონომიკური ინტეგრაციის პრობლემები სამხრეთ კავკასიაში	17
I.2 რეფორმები კავკასიაში-გზა ევროპისაკენ	23
II. საქართველოს ინტეგრაცია ევროკავშირში. პრობლემები და პერსპექტივები	30
II. 1 საქართველოს ეკონომიკური განვითარების ანალიზი	37
II. 2 ეკონომიკური ინტეგრაციის დაჩქარების ღონისძიებები	45
დასკვნა	59
გამოყენებული ლიტერატურა	61
დანართი	63
ცხრილი #1 ძირითადი სოციალურ ეკონომიკური მაჩვენებლები (საქართველო, სომხეთი აზერბაიჯანი)	